საქართველოს მეჩაიეთა დიდი შრომითი გამარჯვება

ვადამდე შესრულებულია ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება

ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ შექმნა ჩვენი მეცნიერებისა და ინჟინერ-კონსტრუქტორთა დიდი გამარჯვებაა.
სურათზე: ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 233 (13049) | კვირა, 4 ოქტომბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებო!

ახალი შრომითი გმირობით

ვუპასუხოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის

ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და

საბჭოთა მთავრობის გულითად მოლოცვას!

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ რესპუბლიკის მაჩუქნავე მეჩაიეებს, რომლებიც ვალდებულების ზევით კრეფენ ჩაის ფოთოლს: (ზემოდან) ა. ბოუბა (ოჩამჩირე), ე. კოკალიშვილი (ზუგდიდი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქართველოს სსრ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ჩაის მრეწველობის, საწარმოო სამმართველოების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, ყველა მშრომელს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ვადამდე შეასრულეს ჩაის ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. 20 სექტემბრისათვის საქართველოს მეჩაიეებმა მოკრიფეს და გადამუშავებელ მრეწველობას ჩააბარეს 176,5 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ეს შრომითი გამარჯვება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაძაბული შრომის, საწარმოო სამმართველოების, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ საქართველოს სსრ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ჩაის მრეწველობის, საწარმოო სამმართველოების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, ყველა მშრომელს ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებას და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ისინი კვლავაც კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ ჩაისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გაფართოებაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

მოხარული ვართ მოვახსენოთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ვადამდე შეასრულეს ჩაის ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. 20 სექტემბრისათვის საქართველოს მეჩაიეებმა მოკრიფეს და გადამუშავებელ მრეწველობას ჩააბარეს 176,5 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული გეგმით გათვალისწინებული 175 ათასი ტონის ნაცვლად.

ეს შრომითი გამარჯვება შედეგია საწარმოო სამმართველოების, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, ჩაის მრეწველობის მუშაკთა ბეჯითი შრომისა, რომლებიც წარმატებით იყენებდნენ მოწინავე აგროტექნიკას და ჩაის მოვლა-მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.

განსაკუთრებით კარგად იშრომეს ჩაის ფოთლის კრეფაზე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ზუგდიდის, ცხაკაიას, წყალტუბოს, გეგეჭკორის, წულუკიძისა და სხვა საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ჩაის ფოთლის კრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება გრძელდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, მჭიდროდ შეკავშირებულნი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ იმას, რომ ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

მათ თავი ისახელეს

აფხაზეთის მეჩაიეებმა პირველი ოქტომბრისათვის მოკრიფეს 30.682 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 29.200 ტონისა.

აჭარის მეჩაიეებმა მოკრიფეს 29.629 ტონა ნაცვლად 28.530 ტონისა.

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში წლიური გეგმით გათვალისწინებული 36.300 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 38.019 ტონა.

ცხაკაიას რაიონში მოკრეფილია 10.936 ტონა ნაცვლად 10.300 ტონისა.

გეგეჭკორელებმა მოკრიფეს 8.752 ტონა. წლიური გეგმა კი 8.500 ტონას ითვალისწინებდა.

წყალტუბოელმა მეჩაიეებმა გეგმით გათვალისწინებული 7.300 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 8.263 ტონა.

წულუკიძის რაიონში მოკრეფილია 4.900 ტონა ნაცვლად 4.500 ტონისა.

ჩაის კრეფა გრძელდება.

გაიხსნა გამოფენა „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 15 წელი“

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვის კულტურისა და დასვენების პარკ „სოკოლნიკში“ აღმართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ალმები. აქ გერმანელმა მეგობრებმა გახსნეს გამოფენა „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 15 წელი“.

საზეიმო ცერემონიაზე ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვილი შტოფის მეთაურობით.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. მ. შვერნიკი, ლ. ნ. ეფრემოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი.

აქვე იყვნენ დედაქალაქის მშრომელთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ეკონომიკურ ინსტიტუტებისა და ლაბორატორიათა წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

გამოფენის გახსნის დროს სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შტოფმა.

დარბაზობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩთან

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში რუდოლფ დელინგმა დღეს დარბაზობა გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილი შტოფი, და იმის გამო, რომ გაიხსნა გამოფენა „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 15 წლისთავი“.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი და სხვა საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები, სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლები.

სტუმრებს შორის იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს, რომელშიც გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, ვ. შტოფმა და ა. ნ. კოსიგინმა სიტყვები წარმოთქვეს.

მოსკოვიდან გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საშშოლოში გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვილი შტოფის მეთაურობით. დელეგაცია ჩამოვიდა ვნუკოვის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, დ. ს. პოლიანსკიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ა. ლესეჩკომ, სხვა საბჭოთა, პარტიულმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

აეროდრომზე იყვნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რ. დელინგი და საელჩოს თანამშრომლები, მოსკოვში აკრედიტებული სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა და ამხანაგმა ვ. შტოფმა სიტყვები წარმოთქვეს.

იაპონიის პარლამენტის წევრთა ჯგუფი ეწვია ა. ი. მიქოიანს

იაპონიის პარლამენტის წევრთა ჯგუფი იაპონიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ფუქიიამის მეთაურობით 2 ოქტომბერს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ა. ი. მიქოიანსა და იაპონიის პარლამენტის წევრთა შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც იაპონელმა სტუმრებმა აღაფოთლება გამოთქვეს საბჭოთა კავშირში თავიანთი მოგზაურობის გამო. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი. მონღოლი მეგობრები ბერლინს მიემგზავრებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მე-15 წლისთავის დღესასწაულზე.

პარტორგანიზაციების საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე

პარტიული ცხოვრება

შეესაძლებლობა და სინამდვილე

ვერ ვიტყვით, რომ განახლების კოლმეურნეობის წევრებს შრომა არ უყვარდეთ. მათი უმრავლესობა ზამთარზაფხულ დაუღალავად მუშაობს. მაგრამ მდგომარეობა აქ კვლავ დამაფიქრებელია. წლების მანძილზე კოლმეურნეობამ ჩამორჩენას თავი ვერ დააღწია.

ამ ორიოდე წლის წინათ გულრიფშის საწარმოო სამმართველოს სოფელ განახლების სამი კოლმეურნეობა ერთ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო არტელად გაერთიანდა, სადაც ახლა 600-ზე მეტი შრომისუნარიანი კოლმეურნე ითვლება. აქ ყოველი მეათე კაცი კომუნისტია. ეს კი დიდი ძალაა იმისათვის, რომ საქმე კალაპოტში ჩადგეს, მაგრამ...

რატომ ჩამოვრჩებით, სად ვეძებოთ წინსვლის გზები და საშუალებანი? — აი საკითხები, რომლებიც წითელ ზოლად გასდევდა განახლების კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე როგორც პარტბიუროს მდივნის პ. ჯიქიას საანგარიშო მოხსენებას, ისე კამათის მონაწილე კომუნისტთა გამოსვლებს.

მათ სწორად მოძებნეს პასუხი: ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ცუდი ორგანიზატორული მუშაობა. ყველაზე შეუწყნარებელი კი ის არის, რომ ზოგიერთი კომუნისტი თვითონ არღვევს დისციპლინას, იჩენს უპასუხისმგებლობას. ეს გამოყენებულ ვინმეს ეხებოდა. კომუნისტებმა ს. რობაქიძემ, ლ. კვარაცხელიამ, რ. ახლანიანმა, ვ. ჯოლოხავამ კრებაზე ორი საათით დაიგვიანეს, ხოლო პარტიული ორგანიზაციის 66 წევრიდან 20 კაცი სულაც არ გამოცხადებულა.

სწორედ კოლმეურნეთა ერთი ნაწილის, მათ შორის ზოგიერთი კომუნისტის უპასუხისმგებლობა არის მთავარი მიზეზი, რომ კოლმეურნეობაში როგორც შარშან, ისე წელსაც საგრძნობლად ჩამორჩა მეურნეობის წამყვანი დარგები. კრების მსვლელობის დღისათვის აქ გეგმით გათვალისწინებული 195 ტონის ნაცვლად მოკრეფეს და სახელმწიფოს მიაყიდეს მხოლოდ 163 ტონა ჩაის ფოთოლი, მაშინ როცა რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე პირნათლად გაანაღდეს ჩაის ფოთლის დამზადების წლიური დავალება. ასევე ვერ შესრულდება თამბაქოს მოსავლიანობის დავალებაც. გეგმით ნავარაუდევი 810 ათასი ზონარმტრის ნაცვლად, აქ შეტეხილი და ანებისილი იყო 500 ათასი ზონარმტრი თამბაქო.

ჩაისა და თამბაქოს დაბალი მოსავლიანობის ძირითად მიზეზად კოლმეურნეებმა აღიარეს პლანტაციების მოუვლელობა. ჩაისა და თამბაქოს პლანტაციების დიდი ნაწილი ეკალბარდითა და სარეველა ბალახებით არის დაფარული. არტელის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ დარაზმეს კოლმეურნეები, რომ უზრუნველეყოთ მათთვის მოსავლელად ჩაბარებული პლანტაციების სათანადოდ მოვლა-პატრონობა.

უკეთესი მდგომარეობა არც სხვა დარგებშია. მეცხოველეობის ფერმის პროდუქტიულობის დონე წინსვლის მაგივრად უკანასკნელ წლებში უფრო დაქვეითდა.

შარშან გეგმით გათვალისწინებული 800 კილოგრამის ნაცვლად თვითეულ ძროხაზე საშუალოდ 452 კილოგრამი რძე მიიღეს, წელს კი 8 თვის განმავლობაში — მხოლოდ 100 კილოგრამი. მტკიცე საკვები ბაზის უკმარისობის გამო ძროხები ნახევრად მშიერი ჰყავთ. ეს მდგომარეობა სრულიად არ აღელვებთ კომუნისტებს — მეცხოველეობის ფერმის გამგეს, ზოოტექნიკოს ვ. რაფავას და მის მოადგილეს ა. მარკოსიანს. ამიტომაც ისინი კრებაზე მაგრადაც „შეეხურეს". კომუნისტებმა „არ დაინდეს" მეფუტკრეობაში მომუშავე ა. მარკოსიანიც. მაგრამ მას გამბედაობა არ ეყო გულწრფელად ეთქვა კრებისათვის თავისი დანაშაული.

ადგილზე კონკრეტული დახმარების ნაცვლად კანტორაში ცნობებს აღებით და რაიონულ ცენტრში კოლმეურნეობის ხელმძღვანელების გამოძახებით კმაყოფილდებიან.

კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური, შინაპარტიული და ორგანიზატორული მუშაობის ჩამორჩენაზე ადრეც. ბევრი თქმულა, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა.

ბრიგადებში ჩაშლილია საagიტაციო მუშაობა. agიტატორები, რომლებიც ძალიან საშუალო სკოლის მასწავლებლები არიან, იშვიათად მიდიან თავიანთ საagიტაციო უბნებში, არ იცნობენ კოლმეურნეთა ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრებას. პარტიაური სუსტად ხელმძღვანელობდა მათს საქმიანობას. შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოდის საკოლმეურნეო კედლის გაზეთი, რომელსაც კოლმეურნეობის აგრონომი პ. რაფავა ხელმძღვანელობს. გასულ სასწავლო წელს პარტორგანიზაციასთან შექმნილი იყო ოთხი წრე და პოლიტსკოლა. მაგრამ მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო ხშირი იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები.

ყველაფერი ეს და სხვა ფაქტები ცხადყოფენ, რომ სოფელ განახლების კომუნისტებს სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან.

კიდევ ბევრი რამ ითქვა იმ საღამოს კოლმეურნეობის კომუნისტების საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. ახლად არჩეულმა პარტბიურომ არ უნდა დავიწყოს. რომ თვითეული სიტყვა საქმით ფასდება, რომ კომუნისტთა განაწყენი აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პარტიული ქრონიკა

ახალ სასწავლო წელს

გორი. სასწავლო წელი განაახლა პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტმა. მის ორივე ფაკულტეტზე — ისტორიისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე — ცოდნას იღრმავებს 208 კაცი.

რ. სამადაშვილი.

ლაპარაკობს კასპი...

ეს იყო 1962 წლის პირველ აგვისტოს. ქალაქ კასპისა და მეზობელი სოფლების რადიორეპროდუქტორებში გაისმა ადგილობრივი დიქტორის ხმა: — ყურადღება, ყურადღება, ლაპარაკობს კასპი.

ასე დაიწყო მუშაობა კასპის საქალაქო რადიორადიოქიამ (კორესპონდენტ-ორგანიზატორი ირ. სოზიაშვილი).

მას შემდეგ კვირაში ორჯერ რეგულარულად წარმოებს ადგილობრივი რადიოგადაცემები, რომლებსაც ინტერესით უსმენენ ქ. კასპისა და სოფლების კავთისხევის, ახალქალაქის, ქვემო გომის, შეტეხის, ზემო ხანდაკის მშრომელები.

მიკროფონთან ხშირად გამოდიან სოფლისა და ქალაქის წარმოების მოწინავენი, რომლებიც მსმენელთ მოუთხრობენ ცემენტის ქარხნის, თიბამის ტუფისა და კავთისხევის კირქვის კარიერების, აგრეთვე მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის მუშათა ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ იბრძვიან საწარმოთა კოლექტივები შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

რადიორედაქციამ მოამზადა საუკეთესო მასალები კასპის, ქვემო ჭალის, სამთავისის კოლმეურნეობებზე, ოკამის, აღაიანის, კოდალსწყაროს საბჭოთა მეურნეობებზე. საინტერესო იყო გადაცემები „მოსაღლის აღების დაძაბული დღეები", „ნოსტელი მიცხოველეები", „თივის ზვინები მრავლდება" და სხვ.

რადიოგადაცემები საინტერესოდ მიჰყავთ ახალგაზრდა დიქტორებს ელენე ცირცვაძეს, თამაზ შეშაბერიძეს და ზინაიდა ქისტაშვილს.

გ. ნადარეიშვილი.

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ფოლადის სამსხმელო საამქროში ჩქარობსნული გამოდნობის ოსტატის სახელი საამართლიანად დაიმსახურა მეფოლადემ ზაქარია კოზაშვილმა. იგი ყოველდღიურად გეგმის ზევით უშვებს ფოლადს.

სურათზე: მეფოლადე ზ. კოზაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

საგარეჯოს, წულუკიძისა და გარდაგნის მშრომელთა ინიციატივის კასუხად

ეოუარე და დაამშვენე შენი სოფელი, კარგიდამო!

გონივრულია, კარგია

მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოს მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს წულუკიძისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოების პატრიოტულ თაოსნობას — კეთილმოწყობილი გავხადოთ სასოფლო გზები.

საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა წელს ადგილობრივ გზებზე შავი საფარი დააგეს 7 კილომეტრზე. გეგმით კი 5 კილომეტრი იყო ნავარაუდევი. იოგო 165 მეტრი საერთო სიგრძის 7 რკინაბეტონის ადგილობრივი ხიდი.

სასოფლო გზების კეთილმოწყობის მიზნით აქ გადაწყვეტეს მოაწყონ ერთთვიური, ამ ხნის განმავლობაში კაპიტალურად შეაკეთონ და მოხრეშონ მაიაკოვსკი-ზეგანსაყრაულას გზა 22 კილომეტრზე, ობჩა-კანძეების უბნის გზა — 3 კილომეტრზე, ვანი-ზედა ვანის გზა— 3 კილომეტრზე, ზედა ვან-გადიდის გზა — 7 კილომეტრზე.

24 ადგილას 250 გრძივ მეტრზე ჩადგან მუდმივი წყალგამტარი რკინაბეტონის მილები, სოფლის გზებზე კაპიტალური რემონტი გაუკეთონ 120 ხიდს; დაამთავრონ ერთი 40-მეტრიანი რკინაბეტონის ხიდის მშენებლობა, საექსპლოატაციოდ გადასცენ 90-მეტრიანი დაკიდული ხიდი მაიაკოვსში მდინარე ხანრსწყალზე.

დიდი ყურადღება ექცევა გზების გამწვანებას და ნარგავების მოვლა-გახარებას. სოფლის 20 კილომეტრი გზის ორივე მხარეს დარგულია ნაყოფის მომცემი მცენარეები.

სულ ერთთვიურის განმავლობაში 70 ათასი მანეთის სამუშაოები შესრულდა.

დ. ჩუბინიძე.

სიტყვა და საქმე

წულუკიძისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოების მშრომელთა ინიციატივამ — გააჩაღონ მუშაობა ადგილობრივი გზებისა და ხიდ-ბოგირების კეთილმოწყობისათვის — საქმიანი გამოხმაურება ჰპოვა ხაშურის რაიონში.

წელს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს სასოფლო გზების კეთილმოწყობისათვის; კაპიტალურად შეკეთდა ხცის-ქარელის გზა 10 კილომეტრზე, ფლევ-ბაბისის გზა — 4 კილომეტრზე, მოიხრეშა სოფლებში ქვაბისხევსა და საკირეში მისასვლელი გზები.

მომდინარე წელს რაიონში გეგმით კაპიტალურად უნდა შეკეთდეს 20 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, აქედან უკვე შეკეთებულია 18 კილომეტრი. 12 ხიდიდან შეკეთებულია 10.

რაიონის საგზაო განყოფილებამ, მშენებლებმა, სოფლის მშრომელებმა გადაწყვიტეს ყველა სასოფლო გზა სანმაფონო წესრიგში მოიყვანონ და საგზაო მშენებლობა-კეთილმოწყობის წლიური გეგმა ყველა სახის მიხედვით პირველ ნოემბრამდე შეასრულონ.

დ. ფარემუზოვი.

მეტალურგთა მეგობაროგა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონელ მეტალურგთა დელეგაცია ათ დღეს იმყოფებოდა მოძმე უკრაინის რესპუბლიკის — ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხანაში, რომელსაც ეკიბრება და მეგობრობს.

ახლახან ქართველი მეტალურგები ზაპოროჟიედან დაბრუნდნენ. დელეგაციის ხელმძღვანელმა, ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ინჟინერმა ბ. რუხაძემ განაცხადა:

— ქართველ და უკრაინელ მეტალურგებს ძმური მეგობრობა აკავშირებთ. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ დადასტურდა ჩვენი ვიზიტით.

შემოწმდა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა. აღინიშნა ორივე ქარხნის წარმატება ახალ შენადნობთა ათვისებაში, ელექტროენერგიისა და ნიდელეულის მომგირნეობით ხარჯვაში. მეგობრებმა ერთმანეთს გაუზიარეს დახურული ელექტროღუმელების მუშაობის გამოცდილება.

ასეთი ვაჭროობით მომხმარებლის გულს ვერ მოვიგებთ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲚᲝᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲖᲠᲔᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲠᲙᲘᲡ. ᲒᲐᲛᲣᲥᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲕᲚᲔᲛᲘᲗ

საქართველოს ადგილზე კონკრეტული დახმარების ნაცვლად კანტორაში ცნობებს აღებით და რაიონულ ცენტრში კოლმეურნეობის ხელმძღვანელების გამოძახებით კმაყოფილდებიან.

კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური, შინაპარტიული და ორგანიზატორული მუშაობის ჩამორჩენაზე ადრეც. ბევრი თქმულა, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა.

ბრიგადებში ჩაშლილია საagიტაციო მუშაობა. agიტატორები, რომლებიც ძალიან საშუალო სკოლის მასწავლებლები არიან, იშვიათად მიდიან თავიანთ საagიტაციო უბნებში, არ იცნობენ კოლმეურნეთა ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრებას. პარტიაური სუსტად ხელმძღვანელობდა მათს საქმიანობას. შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოდის საკოლმეურნეო კედლის გაზეთი, რომელსაც კოლმეურნეობის agრონომი პ. რაფავა ხელმძღვანელობს. გასულ სასწავლო წელს პარტორგანიზაციასთან შექმნილი იყო ოთხი წრე და პოლიტსკოლა. მაგრამ მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო ხშირი იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები.

ყველაფერი ეს და სხვა ფაქტები ცხადყოფენ, რომ სოფელ განახლების კომუნისტებს სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან.

კიდევ ბევრი რამ ითქვა იმ საღამოს კოლმეურნეობის კომუნისტების საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. ახლად არჩეულმა პარტბიურომ არ უნდა დავიწყოს. რომ თვითეული სიტყვა საქმით ფასდება, რომ კომუნისტთა განაწყენი აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲚᲝᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲖᲠᲔᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲠᲙᲘᲡ. ᲒᲐᲛᲣᲥᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲕᲚᲔᲛᲘᲗ

საქართველოს სოფლის მშრომელებს წელს დოვლათიანი შემოდგომა დაუდგათ. მოზღვავდა ხილის, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავალი, საუკეთესოა ყურძენი. ჩვენს მხვნელ-მთესველებს, მეჩაიეებსა და მევენახეებს ჯერ საბოლოოდ არ შეუჯამებიათ წლევანდელი წლის შედეგები, მაგრამ მოსავალი კარგია, წინასწარი ვარაუდები საიმედო და სასიხარულოა.

შემოდგომის ხვავი და ბარაქა ჩვენს დედაქალაქ თბილისშიც ნათლად იგრძნობა. ეს უწინარეს ყოვლისა საკოლმეურნეო ბაზარს და ნაწილობრივ ხალბოსტნეულის მაღაზიებს დაეტყო.

სუეტვე იგრძნობა თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში, მაგრამ შესაფერი წესიერი და მომსახურების მაღალი კულტურა ჯერ კიდევ არ არის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დროს ამ მხრივ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. გასულ წლებთან შედარებთ გაცილებით უკეთესია საკოლმეურნეო ბაზარზე პროდუქტების გასაყიდად ჩამოსულ კოლმეურნეთა მომსახურების პირობები. უფრო კეთილმოწყობილი გახდა ბაზრები, რის შედეგადაც აშაღლდა სანიტარული და ტექნიკური მომსახურების დონე, ვაჭრობის კულტურა, გაიბარდა ბაზრების ტერიტორიებზე არსებული ხილ-ბოსტნეულისა და კვების სხვა პროდუქტების, აგრეთვე სამრეწველო საქონლის მაღაზიების რიცხვი; გაძლიერდა სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ.

მიუხედავად ამისა ერთი თვალის გადავლებითაც ადვილი შესამჩნევია, რომ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრები საკმაოდ ვერ ემსახურებიან მშრომელებს. რადაკცია ღებულობს მრავალ წერილს, რომლებშიც მხილებულია ბაზრების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, მოყვანილია დარღვევებისა და უწესრიგობის კონკრეტული ფაქტები.

აღნიშნული სიგნალებისა და კრიტიკული წერილების ერთი ნაწილი რედაქციამ შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს. ამასთან დაკავშირებით სამმართველომ გამოიკო სპეციალური კომისია, რომელმაც ამ სიგნალების გათვალისწინებით შეამოწმა ბაზრების მუშაობა. ვაჭრობის სამმართველომ გამოსცა სპეციალური ბრძანება „თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებსა და ამ ბაზრების ტერიტორიაზე მოქმედი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოვაჭრე მაღაზიების მუშაობის შესახებ", სადაც ნათლად არის ასახული ის ხარვეზები და ნაკლოვანებანი, რომელნიც შემოწმებამ გამოაკლინა.

ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების ერთი ნაწილი ვერ ასრულებს ერთჯერადი გამოსაყიდის, შემოსაელის და კეთილმოწყობის სამუშაოების გეგმას. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მაცივარ-კამერებისა და საერთო სამაცივრო მეურნეობის მოვლა-პატრონობა. ბაზარზე თავიანთ პროდუქტის გასაყიდად მოსული მეურნეო ბაზრის დირექტორს გ. ქართველიშვილს და მის მოადგილეს ს. ნებიერიძეს, მკაცრად დაისაჯნენ აგრეთვე ამავე ბაზრის კონტროლიორები ა. მოხევიშვილი და ს. სარქისოვი, რომლებიც საჭირო წესრიგს არ იცავდნენ თავიანთ უბნებზე.

ვაჭრობის სამმართველოს აღნიშნული ბრძანების მიღებიდან ერთ თვეზე მეტი გავიდა და უკვე შეიძლება ლაპარაკი მიღებულ ღონისძიებათა შედეგებზე.

შედეგი მართლაც არის, მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება ნამდვილად იგრძნობა, მაგრამ ნაკლოვანებებიც ჯერ კიდევ ბევრია.

ვერ იქნა და ვერა, ჩვენს საკოლმეურნეო ბაზრებში ვერ დამყარდა სანიტარული წესრიგი. უსუფთაობაა დახლებში და დახლს გარეთ, ზოგ ბაზარში დღემდე მტკიცედ არა აქვთ მიჩენილი ადგილი კოლმეურნეებს სხვადასხვა პროდუქტს გაყიდვისათვის. ხშირად ერთი კაცი რამდენიმე სახის პროდუქტს ჰყიდის: ჯერ გაურეცხავ კარტოფილს აუწონის მომხმარებელს, მერე იმავე ხელებით ყველს აწყობს სასწორზე.

უხალათო და თავშიშველი გამყიდველები ხომ ჩვენი ქალაქის ბაზრებზე ჩვეულებრივი მოვლენაა!

ბაზარში მეტად საჭირო და აუცილებელია ბავშვთა ოთახი და სამედიცინო პუნქტი. მაგრამ, ჩანს, ამაზე სერიოზულად არავის უფიქრია. სამედიცინო ნაკლოვანებანი ბევრია. ბაზარში ბოლო ოთახი ბინძურია, ბოლო ოთახი ბინძურია, ბოლო ოთახი ბინძურია,

2-12 ოქტომბერი

უკრაინული ლიტერატურის დეკადა საქართველოში

პოეტური შემოდგომა ალაზნის ველზე

მეორე დღე

ალაზნის ველზე ბარაქიანი შემოდგომაა. აქ ახლა ორი რთველია: მადლიან ზვრებში თავს იწონებს ქართული ყურძენი, დამწიფებულან მხატვრული სიტყვის მტევნებიც. ფრესკების ღიმილით, ჩუქურთმათა სიმფონიებით, ლაღი ქართული სიტყვით, მხურვალე გულით შეეგება კახეთი უკრაინული მწერლობის ჯარისკაცებს.

— ვისაც კახეთის ზვრების ოქროს სილამაზე არ უნახავს, ნუ დაიკვეხნის, საქართველოს ვიცნობო, — ამბობს პოეტი დ. პავლიჩკო. — განა შეიძლება აქ ცხოვრობდე, ამ დამთორობელი სილამაზით ტკბებოდე და ძარღვებში პოეტური სისხლი არ გიჩქეფდეს?!.

დღეს, უკრაინული და ქართული მწერლობის ყველა გზა, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ალაზნის ველისაკენ მიემართება. ორმოცი პოეტისა და მწერლის კეთილი ნაკვალევი რჩება კახეთის გზაზე. ეს გზა, რომლის მარშრუტია თბილისი-საგარეჯო-სიღნაღი-გურჯაანი-თელავი-წინანდალი, თავის ნაყოფიერ კვალს დატოვებს ჩვენი სტუმრების შემოქმედებაში.

ამ საზეიმო ლიტერატურული ლაშქრობის მონაწილენი პირველად შეჩერდნენ საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფელ პატარძეულში. ქართველი პოეტი თავის უკრაინელ კოლეგებს აცნობს სოფლის ისტორიას. აგერ უძველესი ტაძრის, ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლის — ნინოწმინდის ნანგრევები...

მიკოლა ბაჟანი გაჰყურებს პატარძეულის მიდამოებს. ვინ იცის, ეგება ამ დროს პოეტის გულში იბადება ახალი ლექსი საქართველოზე, ქართველი მშრომელი ადამიანის მოუღლელ მარჯვენაზე.

ყვავილების ზღვითა და მზის ღიმილით შეხვდა საგარეჯო სტუმრებს. გაიმართა დიდი ლიტერატურული დილა, რომელიც გახსნა საგარეჯოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. საბაშვილმა და უკრაინელ მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელს, ლენინური პრემიის ლაურეატს ოლეს გონჩარს საჩუქრად გადასცა ნაბადი და კახური ქუდი.

უკრაინელ მწერალთა სახელით სსრ კავშირის გმირმა, მწერალმა ი. ზბანაცკიმ საგარეჯოელებს საჩუქრად გადასცა ტარას შევჩენკოს ბიუსტი „კობზარი", შევჩენკოს ნახატების ალბომი და განაცხადა, რომ იგი არის კიევის 87-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა „ცრცჩრ" საგარეჯოელ მოსწავლეებთან, რომლებსაც სამეგობროდ იწვევენ კიეველი მოსწავლეები.

... სიღნაღი — კახეთის გადასახედი! ჩაფიქრებული გაჰყურებს ალაზნის ველს ვასილ სობკო. იგი იარაღით იცავდა კავკასიის მისადგომებს დიდი სამამულო ომის დროს...

ისევ გზა. გურჯაანი, ნატო ვაჩნაძის სოფელი...

დიდი ლიტერატურული საღამო გაიმართა თელავის სახელმწიფო თეატრის შენობაში. იგი გახსნა თელავის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ალ. ვარდოშვილმა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ს. ფილიპი, მ. ბაჟანი, კ. კალაძე, ვ. კორტიჩი, კ. ლორთკიფანიძე, დ. პავლიჩკო, ი. ონუფრიევი და სხვები. ახალგაზრდა თელაველი პოეტი არსპარსიაშვილი სტუმრებს მიუძღვნის თავის ლექსს.

ვლ. ალფენიძე.

სურათზე: (წინა პლანზე) — დ. კოსარიკი, ი. ვირგანი, ლ. ნოვიჩენკო, კ. კალაძე, ო. გონჩარი საგარეჯოელ პიონერებთან.

ი უ რ ი ზ ბ ა ნ ა ც კ ი

ზ ა რ მ ა ც ი

მოთხრობა

ეგოობა, ყველა ადამიანს ნიჭი და უნარი დაბადებით დაჰყვება. რაზედაც გინდათ დაეწყლეველებით, რომ ყველაფერი ბედია: სხვა საკითხია, რა ნიჭი, ერთს — კომპოზიტორის, მეორეს — ხუროთმოძღვრისა, მესამეს — ახლა ყველას ხომ ვერ ჩამოგითვლით. მაგრამ ყოველ ადამიანს რომელიმე საქმისადმი მიდრეკილება დედის მუცლიდან დაჰყვება.

აი ბიძაჩემი მირონი უნიჭიერესი ზარმაცია მთელ ქვეყანაზე. შეიძლება კაცობრობის ისტორიასაც არ ახსოვდეს ასეთი ზარმაცი.

რასაკვირველია, პირობებიც, რომლებშიც იზრდებოდა პატარა მირონი, ხელს უწყობდა მისი ნიჭის განვითარებას, მაგრამ გულახდილად გეტყვით — ვერავითარ პირობებს ვერ ექნება კაცის ბედში გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ თვითონ ბუნებამ არ დაასაჩუქრა ადამიანი არაჩვეულებრივი, თუმცა, მართალია, ნეგატიური ტალანტით.

ბიძა მირონი დაიბადა როგორც ყველა სხვა ბავშვი, არაფრით არ განსხვავებებოდა. იმთგან, არაჩვეულებრივი წყნარი ხასიათი ჰქონდა. მისი ხმა არავის გაუგონია. დედას რომ ძალით არ აეყვანა ძუძუს მოსაწოვებლად, თვითონ იქნებ არც კი მოაგონდებოდა. როცა წამოიზარდა, მაშინაც წყნარი, მოუქნელი, ლოხი ბავშვი იყო. თავისი უმიზეზო ჩუყვირილითა და წკნავილით არავის არ აბეზრებდა თავს.

დიდი ხანი არ გაუხარია ბავშვის დედას, ახალგაზრდა გარდაიცვალა. პაპაჩემმა ცოტა იგლოვა, იფიქრა, იფიქრა, და შინ ახალი ძუძულე ძოიყვანა. საქმიო იყო პატარა ციოოს დედა ჭყოლოდა, მე კი დიდედა.

პაპაჩემის ააალი მეუღლე, ხოლო ჩემი დიდედა, თუძცა თას ახალგაბრდობიდანვე ჭიანჭველებივით დაესია ბავშვები, გეოს ოა ჩაგრავდა და სხვა ბავშვებზე უფრო მეტად უყვარდა. არაფეოს აკლებდა, ადეე ოო გაალეიძებდა. აოც რაიმე სამუშაოს ავალებდა. თავისებს სად არ უკოავდა თავს. მირონს კი ახებივრებდა, სულ იმაზე სწუხდა:

— დაე ბავშვმა გამოძინოს, ობოლია. მირონე, აი ეს ნაჭერი აიღე, შე საბრალო,. შენა. — დედინაცვლის ასეთი მოაყრობა გერს ხელს უწყობდა სიზარმაცეში.

ბავშვობისას მირონი ძროხებსა და ცხენებს მაინც აძოვებდა, ჭაბუკობისას ქუჩაში გოგოსებთან მირბოდა, საღამოობით ამხანაგებთან მღეროდა, ან ისეთ გოპაკს არტყამდა, რომ ქუჩა იზნიქებოდა და მტვერი ცამდე აფიოდა. ცოლი რომ შეერთო და ცალკე დასახლდა დედ-მამისაგან ამენებულ პატარა, მაგრამ წყნარ სახლში, აი აქ კი გამოჩნდა, რა უნარის პატრონიც იყო.

ჩემი ძალო, მირონის მეუღლე, მშრომელი ქალი გახლდათ. მოიყვახა თუ არა მირონმა, ხარივით ეღელში შეება. მთელი დღე ტრიალებდა, სულ რაღაცას აკეთებდა. არავის იცოდა როდის ეძინა. ხახ ბოსტანში მუშაობდა, ხან მინდორში პუოსა თესავდა, ხან კი ტყეში შეშას სჭრიდა, საქონელს უვლიდა, ღუმელს ახურებდა, ბავშვებს არწევდა, ერთი სიტყვით, ყველგან ის იყო.

— მირონი საღღაა? — ჰკითხავდნენ ხოლმე დაცინვით. ის კი მხოლოდ ხელს ჩაიქნევდა და ისევ საქმეს მიადგებოდა.

ამასობაში კი ბიძია მირონი ტკბილად ხვრინავდა, ზაფხულობით ბუზს რომ არ შეეწუხებინა, ამბარში ან დერეფანში იწვა, ზამთარში კი ღუმელზე. ხშირად იყო, რომ კვირაში ერთხელ იღვიძებდა ბიძია მირონი. კვირას დაწვება და გაიღვიძებს შაბათს, დაიძინებს ზამთარში და გაზაფხულზე გაეღვიძება. ნამძინარევი წყალს დალევს; ცოტა ხმელ პურს მოღეჭავს და ისევ მიწვება. დათვივით სძინავს, მხოლოდ ეს არის, თათს არა წუწნის. ისეთი მაგარი ხვრინვა იცოდა, რომ ოთახი ირხეოდა და ჭუჭაში ცხენები ფრთხებოდნენ.

ბიძაჩემს ყველა ეს, ეტყობოდა, არაფრად მიაჩნდა. ძალო კი ბიძას როგორც ბავშვს ისე უცქეროდა, შემწყნარებლად, თანაგრძნობით.

— დაე ეძინოს, — ამბობდა ის, — თუ ადამიანს ეძინება, უჭკობესია ეძინოს, ვინემ სადმე ღვინო სვას და ილაძნდებოდეს, ან მუშტებით იწევდეს, როგორც აი ზოგიერთებმა იციან.

— ჰო, მაგრამ რომ არაფერს აკეთებს...

— ეჰ, მაგისი ნამუშევარი, — გულგრილად ჩაიქნევდა ხელს ჩემი ძალო. — მეც მოვასწრებ, რა იმდენი სამუშაო ჩვენს გვაქვს.

მართალია, მირონის მეურნეობაში არც იმდენი საქმე იყო, მაგრამ ძალუაჩემი ამ მუშაობით მალე გახდა და დაბერდა, მოიკუზა, ხელები მუხლებამდე დაუგრძელდა, ფეხები ჩილიკის ჯოხებივით გაუხმა. ბარტო ტერფები გაუდიდდა და დაგრძელდა. ამიტომაც ხმარობდა თავისუფლად ბიძაჩემის წაღებს. აკე რომ ცოლ-ქმარი ერთი წყვილი ფეხსაცმლით კმაყოფილდებოდა.

ერთადერთი, რაც ბიძაჩემს უყვარდა, დღესასწაულები იყო. როცა მოდიოდა შობა ან ნათლიღება, ახალი წელი ან აღდგომა, მირონი თითქოს იცვლებოდა. ძალი ვიღას ახსოვდა, მაშინ ღუძელზე თოკითაც ვერ მიაბამდით. შესამჩნევად ახალგაზრდავდებოდა, თმას გაიკრეჭდა, წვერსა და ულვაშს იპარსავდა და მოუთმენლად ელოდა, რომ ვინმეს სტუმრად მიეწვია. უყვარდა კედევ ქორწილში სიარული, მაგრამ მამობილად ან მეჯვარედ არავის მიჰყავდა. ყველა ერიდებოდა, არ უნდოდათ ასეთ საქმეში პატენტიანი ზარმაცი ჩაერიათ.

მახსოვს, ერთხელ პაპას სახლში როგორც ღღესასწაულზე მთელი ჩვენი ნათესაობა შეიკრიბა. პაპა სტუმართმოყვარე კაცი იყო. არაფერი არ ენანებოდა თავისიანებისთვის, არც საჭმელი, არც სასმელი.

ბიძია მირონი დახელოვნებული ოსტატი იყო არამცთუ ძილისა, საჭმელისაც. არაყსა სვამდა — თვალი ზედ დაგრჩებოდთ: ჩაის ჭიქით გადაუშვებდა ხოლმე ყელში, ნახევარ კვარტს ყლაპავდა ერთ ჯერად, საჭმელს ხელით ღებდა, ამასთანავე ცდილობდა სულ დიდი ნაჭერი აეღო. ხოლო როცა დათვრებოდა და კარგად დანაყრებოდა, ახლა კი სიმღერისა და ცეკვის ხასიათზე დგებოდა.

ძალუაჩემი ეტყობა სტუმრიანობას არ იყო მიჩვეული. სადღაც კუთხეში მიჯდებოდა და სუფრიდან საჭმელს შემჩნეველად იღებდა.

— ეს, მაგისი ნამუშევარი, — გულგრილად ჩაიქნევდა ხელს ჩემი ძალო. — მეც მოვასწრებ, რა იმდენი სამუშაო ჩვენს გვაქვს.

მართალია, მირონის მეურნეობაში არც იმდენი საქმე იყო, მაგრამ ძალუაჩემი ამ მუშაობით მალე გახდა და დაბერდა, მოიკუზა, ხელები მუხლებამდე დაუგრძელდა, ფეხები ჩილიკის ჯოხებივით გაუხმა. ბარტო ტერფები გაუდიდდა და დაგრძელდა. ამიტომაც ხმარობდა თავისუფლად ბიძაჩემის წაღებს. აკე რომ ცოლ-ქმარი ერთი წყვილი ფეხსაცმლით კმაყოფილდებოდა.

ერთადერთი, რაც ბიძაჩემს უყვარდა, დღესასწაულები იყო. როცა მოდიოდა შობა ან ნათლიღება, ახალი წელი ან აღდგომა, მირონი თითქოს იცვლებოდა. ძალი ვიღას ახსოვდა, მაშინ ღუძელზე თოკითაც ვერ მიაბამდით. შესამჩნევად ახალგაზრდავდებოდა, თმას გაიკრეჭდა, წვერსა და ულვაშს იპარსავდა და მოუთმენლად ელოდა, რომ ვინმეს სტუმრად მიეწვია. უყვარდა კიდევ ქორწილში სიარული, მაგრამ მამობილად ან მეჯვარედ არავის მიჰყავდა. ყველა ერიდებოდა, არ უნდოდათ ასეთ საქმეში პატენტიანი ზარმაცი ჩაერიათ.

მახსოვს, ერთხელ პაპას სახლში როგორც ღღესასწაულზე მთელი ჩვენი ნათესაობა შეიკრიბა. პაპა სტუმართმოყვარე კაცი იყო. არაფერი არ ენანებოდა თავისიანებისთვის, არც საჭმელი, არც სასმელი.

ბიძია მირონი დახელოვნებული ოსტატი იყო არამცთუ ძილისა, საჭმელისაც. არაყსა სვამდა — თვალი ზედ დაგრჩებოდთ: ჩაის ჭიქით გადაუშვებდა ხოლმე ყელში, ნახევარ კვარტს ყლაპავდა ერთ ჯერად, საჭმელს ხელით ღებდა, ამასთანავე ცდილობდა სულ დიდი ნაჭერი აეღო. ხოლო როცა დათვრებოდა და კარგად დანაყრებოდა, ახლა კი სიმღერისა და ცეკვის ხასიათზე დგებოდა.

ძალუაჩემი ეტყობა სტუმრიანობას არ იყო მიჩვეული. სადღაც კუთხეში მიჯდებოდა და სუფრიდან საჭმელს შემჩნეველად იღებდა.

— ეჰ, ეს ბავშვი, — ამბობდა ძალო, — ეს ბავშვი ბოლოს ბოლოს ადამიანად ვერ ჩამოვა. ეს ბავშვი ბოლოს ბოლოს ადამიანად ვერ ჩამოვა.

პრემიერა

მარჯანიშვილის თეატრში

ჩვენმა მკითხველმა ამ რამდენიმე წლის წინათ ინტერესით გაიცნო მწერალ გიორგი შატბერაშვილის მოთხრობის „მკვდრის მზის“ გმირები. მოთხრობის მიხედვით მწერალმა დაწერა ამავე სახელწოდების პიესა (თავდაპირველად მას „თენგოს სიმღერა“ ერქვა), რომელიც გუშინ თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე იქნა წარმოდგენილი სეზონის მეორე პრემიერად.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა. მხატვრობა ეკუთვნის შ. ყავლაშვილს, მუსიკა — ა. ჩოგოლაშვილს (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

პრემიერის დღეს სპექტაკლში მთავარი როლები შეასრულეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. ომიაძემ (გიორგი), რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ტ. საყვარელიძემ (მთხრობელი), მ. მახვილაძემ (მზია), მსახიობებმა გ. ციცქიშვილმა (თენგო), გ. ბერიკაშვილმა (ყაჟია.) რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა დ. ოქროსცვარიძემ (შავდათუა), ჯ. თეთრაძემ (ხახატო).

«ნამდვილ გზაზე»

ქედის კულტურის სახლის დრამატულმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი თ. ქათამაძე), მერანისს, ცხმორისისა და აუჰესის მშრომელებს უჩვენა შ. აფხაიძის პიესა „ნამდვილ გზაზე“.

ა. ბარამიძე.

საგასტროლოდ ცხინვალში

ქალაქ ცხინვალს ეკუმრა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკური მუსიკალურ-დრამატული თეატრის კოლექტივი. ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის სოფლების მაყურებლებმა ნახეს ექვსი სპექტაკლი: ა. თოქაევის „ხარეტა“, ა. მაკეევის „გადამლაშება წყურვილ იწვევს“, ნ. ქაძოვას და ჩრდილოეთ ოსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ქ. ცხინვალის მკვიდრის დ. ხასანოვის ოპერეტა „ხამთი და ზარინა“, დ. თემირიაევის „მეგობრის სიკვდილი“, ს. კიტოვის „დედის გული“, ლ. ჭუბაბრიას და ქ. ფლიევის ოპერეტა „სამი მეგობარი“.

ა. მამისთვალოვი.

შეხვედრა უკრაინის კინოოსტატებთან

უკრაინის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა უკრაინული ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით, შეხვდა საქართველოს ხელოვნების მოღვაწეებს.

საქართველოს კინომოღვაწეთა სახელით უკრაინელ სტუმრებს მხურვალედ მიესალმა უკრაინული ლიტერატურის დეკადის დაწყება რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა ს. დოლიძემ.

უკრაინის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, რეჟისორმა მ. ლეონტიუკმა შეკრებილთ უამბო, რომ უკრაინული კინემატოგრაფისტები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ საქართველოში მიწვეულს. თბილისში ჩამოვიდნენ რეჟისორი ს. ფარაჯანოვი, ოპერატორი ი. ილენკო, მსახიობი ლ. კადორნიკოვა, რომლებმაც შექმნეს კინოფილმი „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილები“, ფილმს საფუძვლად დაედო უკრაინული ლიტერატურის „კლასიკოსის მ. კოციუბინსკის ამავე სახელწოდების ნაწარმოები.

ს. ფარაჯანოვმა დამსწრეთ უამბო თუ როგორ მუშაობდა კოლექტივი ფილმზე.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ კინოფილმი „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილები“. ფილმის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს ს. დოლიძემ, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა რ. თაბუკაშვილმა, — რეჟისორებმა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. სანიშვილმა და ო. იოსელიანმა.

(საქდესი).

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სასიხარულო სიახლენი

● ქალაქ გეფალეთის დასავლეთით ზღვის სანაპიროზე, სადაც ზღვისა და მთის ჰაერი ზომიერად შერწყმია ერთმანეთს, გაიხსნა სანატორიუმი 100 ბავშვისათვის.

ვ. ხავთასი.

● ხეოთი ახალციხის რაიონის მაღალმთიანი სოფელია. ამ სოფლამდე ავტობუსების მისვლა შეუძლებელი იყო უგზოობის გამო. საგარეჯოელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად ხეოთელებმა 3,5 კილომეტრის მანძილზე გაიყვანეს სამანქანე გზა, რომელზეც უკვე მოძრაობს სამარშრუტო ავტობუსი „ახალციხე-ხეოთი“.

ს. წიკლაური.

● ოდითბანევი ლალისყურელები (თელავის რაიონი მდინარე) სტორის ნაყურს სვამდნენ. მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობის მუშაკებმა გადაწყვიტეს სოფელში სასმელი წყლის გამოყვანა და სტაყვა სარქველ აქციეს. ახლა ლალისყურში უკვე მოჩუხჩუხებს ანკარა წყალი.

მ. ზაალიშვილი.

რთველი საბავშვო ბაღში

უჩვეულო რამ ნახეს იმ დღეს დამსწრეებმა დედაქალაქის კალანდაძისა და ბარნოვის ქუჩების კუთხეში მდებარე სახლის ეზოში... რთველი! განა ინსტიტუტებსა ან წარმოდგენა, არამედ ნამდვილი რთველი! სად იყო რთველი? — 30-ე საბავშვო ბაღის ეზოში. ვინ მოირთვლა? — ბაღის აღსაზრდელთა ბედნიერმა კოლექტივმა აღმზრდელთა მეთვალყურეობით, მებაღის — ძია ფედას დახმარებით.

ბაღის შვიდასამდე კვადრატულ მეტრ ეზოში არის ვენახი, ხეხილი, სიმინდი, ბოსტანი, ესე იგი ყველაფერი ის, რასაც ბავშვი ხედავს სოფელში. ამ კულტურების დარგვა-დათესვაში, მოვლა-მოყვანაში ბავშვებმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს; ისინი აკვირდებოდნენ ნათესების ზრდისა და დამწიფების პროცესებს, და აი შემოდგომის ერთ ოქროსფერ დღეს ბავშვებმა მოირთვლეს კიდეც, უხვი მოსავალი აიღეს...

უნდა გენახათ ბავშვების საქმიანი სახეები შრომის დროს, როცა მათ თავს დასტრიალებდნენ ბაღის გამგე მერი მენთეშაშვილი, აღმზრდელები თამარ ბუაძე და ლეილა გორდელაძე, ექთანი იზოლდა ჩერქეზიშვილი, დისახლისი ნინო ჯალაღონია, მებაღე ფედა ბერძენიშვილი. აქ იყვნენ მშობელთა კომიტეტის თავჯდომარე გულერი ჩხიკვიშვილი, კომიტეტის წევრები ეთერ აბულიანი, ელზა ჩუბინიძე...

ბავშვები მათივე შრომითი მონაწილეობით მოწყული კალათებით და გოდრებით ეზიდებოდნენ მარანში ყურძენს, კრეფდნენ, და ავროვებდნენ მსხალს, ვაშლს, ტეხდნენ სიმინდს, ზვინავდნენ თივას. ყურძენი საწნახელში მათივ დაწურეს თავიანთი სუფთა, ვარდისფერი ფეხებით, მერე გააკეთეს ჩურჩხელები, ფელამუში. შრომის შემდეგ გაიმართა პატარების ლხინი, იყო ცეკვა-თამაში... აღსაზრდელებს მადლიერმა აღმზრდელებმა პატარა მოწყული კალათებით თავიანთ დედიკოებთან და მამიკოებთანაც გაატანეს მოსავლის ნიმუშები.

ამ რთველის შინაარსი იყო „საქართველოს ხილის კულტურის ასახვა სკოლამდელი ასაკის ბავშვების შემოქმედებაში“.

დედაქალაქის 30-ე საბავშვო ბაღის ეს მშვენიერი ღონისძიება მისასალმებელია.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა სწორედ მაშინ გადაიღო ეს სურათები, როდესაც ბავშვებს გაჩაღებული რთველი ჰქონდათ.

ДЕКАДАДАС МИУДЦВНЕС «ЦИСКАРИ» № 10

„ЦИСКАРИС“ რედაქციამ ყურნალის მეათე ნომერში გამოაქვეყნა უკრაინის ლიტერატურის დეკადისადმი მიძღვნილი მასალები.

ნომერი იხსნება საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის, პოეტ-აკადემიკოს ირ. აბაშიძის მოკლე შესავალი წერილით. აქვე დაბეჭდილია პავლო ტიჩინის, მაქსიმ რილსკის, მიკოლა ბაჟანის, მიხაილო სტელმახის, სტეფანე ოლეინიკის, ოლექსა ნოვიცკის, ვიტალი კოროტიჩის, დმიტრო პავლიჩკოს, ლიუბომირ დმიტერკოს ლექსები, რომელთა თარგმანები ეკუთვნის ა. მირცხულავას, კ. ლორთქიფანიძეს, კ. კალაძეს, ა. სულაკაურს, გ. გეგეჭკორს, ო. შალამბერიძეს, თ. ჯანგულაშვილს, ჯ. ჩარკვიანს, ა. ასანიძეს.

პოეზიის განყოფილებაში წაიკითხავთ აგრეთვე მიხეილ ლერმონტოვის ლექსებს (მთარგმნელები გ. გეგეჭკორი, შ. ნიშნიანიძე).

პროზა წარმოდგენილია გრ. ძოწენიძის, კ. დევდარიანის და ე. ფეიგინის ნაწარმოებებით. საინტერესოა ი. ტაბიძის ნარკვევი „მამლები ყივიან შორაქში“.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია ნ. ხალვაძის, ნ. ზერეფლის, ვ. კიკნაძის, ნ. ონაშვილის, ბ. ბარდაველიძის, რ. ფერაძის წერილები.

ТРОПИКЕБИ ШЕТЕВАЗЕ

აფრიკა თუ ევროპა?

ზოგიერთი მეცნიერი მათ უკავშირებს დედამიწის მდებარეობის ცვლილებას მზის მიმართ, ზოგი — მსოფლიო სივრცისა და დედამიწის ატმოსფეროს ფიზიკური თვისებების შეცვლას, ზოგი კი — გეოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე ხდება. ამის შესახებ ერთი მტკიცე აზრი ჯერ კიდევ არ არსებობს.

ჰავის რყევათა შესახებ ორასი ნაშრომის ავტორს, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატს ივანე ბუჩინსკის მიაჩნია, რომ ჰავის პერიოდული რყევა აიხსნება მოქცევათა წარმომქნელი ძალისა და მზის აქტივობის ზემოქმედებით.

პირველი გავლენას ახდენს დედამიწაზე თანვისებური ტალღებით, ამასთან „მეცხრე ტალღა“ მოდის იმ პერიოდზე, როცა ხდება დედამიწის, მზისა და მთვარის განლაგება ერთ სწორ ხაზზე, ეს ხდება პერიოდულად დაახლოებით ყოველი 1850 წლის შემდეგ. უკანასკნელი ასეთი მაქსიმუმი XV საუკუნის პირველ ნახევარს დაემთხვა.

მოხერხდა იმის გამორკვევა, რომ თვითეული 1850-წლიანი რიტმის შიგნით ხდება თვითი, საერთოდ კანონზომიერი პროცესები. აქვატყრად ეს ასე გამოიყურება: რიტმი შედგება ორი ფაზისაგან — გრილი და ტენიანი (300-500 წელი) და მშრალი და თბილი ფაზისაგან (დაახლოებით 1000 წელი). გარდამავალ პერიოდი განგრძობილია ხანგრძლივ. ბოლოს ეს ციკლი 1980 წელს ამოიწურება. ამ ციკლის